საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება

თბილისი, 2026 წლის 25 ივნისი

№154/1-XIმპ

საქართველოს პარლამენტში შექმნილი მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების ხელმძღვანელებისა და შემადგენლობების დამტკიცების შესახებ საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2024 წლის 20 დეკემბრის №12/1 გადაწყვეტილებაში დამატებისა და ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და 217-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის ნიკოლოზ სამხარაძის წარდგინების (№2-8558/26; 24.06.2026) საფუძველზე

საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1. საქართველოს პარლამენტში შექმნილი მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების ხელმძღვანელებისა და შემადგენლობების დამტკიცების შესახებ საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2024 წლის 20 დეკემბრის №12/1 გადაწყვეტილების დანართით გათვალისწინებული „მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების შემადგენლობის“ „კ“ ქვეპუნქტით (ფრანკოფონიის საპარლამენტო ასამბლეა (APF)) გათვალისწინებული:

ა) „ძირითადი შემადგენლობის“ პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 პუნქტი:
„2. კახიანი გიორგი – ფრაქცია „ქართული ოცნება““;

ბ) „სათადარიგო შემადგენლობის“ მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. სამხარაძე ნიკოლოზ – ფრაქცია „ქართული ოცნება““.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

შალვა პაპუაშვილი